პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 210 (19951) შაბათი, 12 სექტემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 10 სექტემბერს გამართულ სხდომაზე განიხილა მოსავლის აღების დამთავრების დაჩქარებისა და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოების ზამთრისათვის მომზადების საკითხი. განხილვის დროს აღინიშნა, რომ სასურსათო პრობლემის წარმატებულ გადაწყვეტას ბევრად განსაზღვრავს მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები.

მოსავლის აღება ამინდის რთულ პირობებში მიმდინარეობს, მაგრამ ბევრი პარტიული კომიტეტი, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ყოველთვის ჯეროვნად როდი აფასებენ ვითარების სიმწვავეს, არ ახორციელებენ სამომწურავ ღონისძიებებს საშემოდგომო მინდვრის სამუშაოთა მთელი კომპლექსის დასამთავრებლად, ზამთრისათვის მეცხოველეობის მოსამზადებლად. ზოგიერთ ავტონომიურ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში ნელი ტემპით იღებენ მარცვლეულს, კარტოფილსა და სხვა საგვიანო „კულტურებს“. აყოვნებენ სახელმწიფო რესურსების შევსებას, ხილბოსტნეულითა და კარტოფილით მოსახლეობის უზრუნველყოფას, საკუთარი წარმოების საკვებით საზოგადოებრივი მეცხოველეობის დაკმაყოფილებას. არადამაკმაყოფილებელია საზამთროდ ფერმებისათვის მომზადება, საკვების, გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობა.

მიღებულ დადგენილებაში საშემოდგომო მინდვრის სამუშაოთა დამთავრებასთან და საზამთროდ მზადებასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარება შეფასებულია როგორც უაღრესად დაძაბული და ხაზგასმულია, რომ ყველა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს, სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მოეთხოვებათ განახორციელონ გადაუდებელი ამომწურავი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს უმოკლეს ვადაში მდგომარეობის გაუმჯობესებას.

განხილეს საკონდიტრო და პურფუნთუშეულის ნაწარმის კოოპერატივთა შექმნის საკითხი, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ამ მრავალფეროვან და მაღალხარისხოვან სახეობათა პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნის უფრო სრულად დაკმაყოფილებას. კოოპერატივები შეიძლება შეიქმნას სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სამმართველოებთან, საკონდიტრო და პურსაცხობი მრეწველობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, „ცენტროსოიუზის“ სისტემაში, რომლებსაც დაევალათ ყოველმხრივ დაეხმარონ მათ მუშაობაში. კოოპერატივების საქმიანობას საფუძვლად დაედო სამეურნეო დამოუკიდებლობის, თვითნაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპები.

პოლიტბიურომ განიხილა მოსკოვის მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაობის სრულყოფის საკითხი. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ამ საკითხზე განსაზღვრულია 1995 წლამდე ამბულტორიულ-პოლიკლინიკური და საავადმყოფო დაწესებულებების მშენებლობისა და ორგანიზაციის, სამკურნალო-დიაგნოსტიკური და სპეციალიზებული დიაგნოსტიკური ცენტრების, დედისა და ბავშვის დაცვის დაწესებულებების შექმნის დავალებანი. გათვალისწინებულია დაჩქარდეს პრაქტიკაში დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვა, გაიზარდოს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ეფექტიანობა, განმტკიცდეს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დასახულია აგრეთვე დედაქალაქის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მუშაკების სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

პოლიტბიურომ განიხილა სამხრეთ-აღმოსავლეთ რკინიგზის კამენსკაიას სადგურში 1987 წლის აგვისტოში მომხდარი მატარებელთა შეჯახების მიზეზების გამომძიებელი მთავრობის კომისიის ინფორმაცია. როგორც გამოძიებამ ცხადყო, მატარებლების შეჯახება მოხდა იმის გამო, რომ ამ რკინიგზის ზოგიერთი მუშაკი დანაშაულებრივად გულგრილად ეკიდებოდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებას. აღარიის უშუალო მიზეზი ის გახდა, რომ ხაზზე გაუშვეს სატვირთო მატარებელი, რომელსაც ნაწილობრივ გამორთული ჰქონდა სამუხრუჭო სისტემა, რის შედეგად ელმავალი დაეჯახა სამგზავრო მატარებელს. კატასტროფას დიდი მსხვერპლი მოჰყვა. პოლიტბიურომ ღრმა სამძიმარი გამოუცხადა დაზარალებულთა ნათესავებსა და ახლობლებს. მათ გაეწიათ საჭირო სახელმწიფო დახმარება.

სსრ კავშირის პროკურატურამ აღარიის ფაქტის გამო აღძრა სისხლის სამართლის საქმე. სამხრეთ-აღმოსავლეთ რკინიგზის უფროსი ა. ს. გოლიუსოვი მოხსნილია სამუშაოდან. განთავისუფლებულია თანამდებობიდან და პარტიულ პასუხისგებაში მიეცა გზათა სამინისტროს სხვადასხვა მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი ს. ს. ბარბარიჩი. პარტიული წესით მკაცრად დაისაჯნენ სსრ კავშირის გზათა მინისტრის მოადგილე — მოძრაობის უსაფრთხოების მთავარი რევიზორი ს. ი. სოლოვეიჩი და სალოკომოტივო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი პ. ი. კელპერისი.

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს კოლეგიას წინადადება მიეცა მკაცრი წესრიგი დაამყაროს სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვაში, გაზარდოს რკინიგზების, განყოფილებების, სარეზერვო ფარატის უფროსებისა და სხვა ქვეგანაყოფების ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობა რკინიგზების ტექნიკური ექსპლოატაციის წესების განუხრელი შესრულებისათვის. დასახულია აგრეთვე მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების გაძლიერების სხვა ღონისძიებანი.

პოლიტბიურომ განიხილა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების ეკონომიკურ საკითხთა მდივნების სოფიაში გამართული თათბირის შედეგები და მიიწონა თათბირზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საქმიანობა. თათბირის მუშაობამ ხელი შეუწყო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმისა და საქმიანობის გარდაქმნის იმ კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავების დაჩქარებას, რომლებიც დაისახა საბჭოს წევრი ქვეყნების მოძმე პარტიათა ხელმძღვანელების მოსკოვის სამუშაო შეხვედრაზე 1986 წლის ნოემბერში. აღინიშნა, რომ სასარგებლოა თათბირზე გამართული აზრთა გაზიარება ეკონომიკისა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილებანი პარტიისა და სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალური და საგარეო პოლიტიკის მთელ რიგ სხვა საკითხებზე.



ნამდვილი ზრომითი ატმოსფეროა თბილისის სართავ ფაბრიკაში. ციბრუტივით ტრიალებენ მრთველი გოგონები, მათი თითები პეპელასავით „დაფრინავენ“ და ერთი მანქანიდან მეორეზე გადადიან. ცვლის დამთავრებამდე ასობით კოჰა ივ სება იმ ფერადი ძაფებით, სილამაზით ერთმანეთსა და გოგონებსაც რომ ეჯიბრებიან.

დაძაბული ზრომითი რიტმია და ყველა ცდილობს არ გატეხოს სიტყვა და შეასრულოს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულება. ქალიშვილი, რომელიც დაზგების მწკრივს ასე საქმიანად გაჰყურებს, ლალი სუხიაშვილია, მას უკვე შეუსრულებია სადღესასწაულოდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება და ახლა ზეგე გმითი პროდუქციის გამოშვებაზე მუშაობს. ხვალ და ზეგ ვალდებულების შესრულებას ათობით სხვა მრთველიც უმატებენ სამშობლოს.

ა. საბაკოვის ფოტო.

სურათზე: ჭოჩულოელი მექანიზატორი რასულ ჰუსეინოვი.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ☐ მოვლენა ☐ კომენტარი

ახალ ზრომითს ოჯნებს ლაშქრავენ საოქტომბრო ვახტის მონაწილეები.

წარმატება მოიპოვეს ქალაქ რუსთავის მეწყველობის მუშაკებმა. ეს წარმატება კი განსაკუთრებით ღირებულია იმით, რომ მიღწეულია მხოლოდ ზრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების წინა ხაზზე არიან მეტალურგები და ქიმიკოსები.

სწორედ მათი დიდი პირადი წვლილია იმაში, რომ ქალაქის მრეწველობამ მთლიანად სასაქონლო პროდუქციის წარმოების იანვარ-აგვისტოს გეგმა 101,6 პროცენტით შეასრულა.

მოწინავეობენ საწარმოო გაერთიანებები „აზოტი“ და „ქიმბოჭკო“, მეტალურგიული ქარხანა.

სამრეწველო საწარმოების მიერ ზეგეგმით გამოშვებულმა ხარისხისნიშნიანმა პროდუქციამ 20 მილიონ მანეთს გადააჭარბა (131,2 პროცენტი). ამ ბნის განმავლობაში 104,3 პროცენტით შესრულდა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების სახელმწიფო დავალებანი.

▼ ▼

საგარეჯოს, წითელწყაროს, სიღნაღისა და გარდაბნის რაიონების მინდვრებში არ წყდება ტექნიკის გუგუნი. მელიორატორთა რაზმები ბიცობ, დამლაშებულ ფართობებს უხვმოსავლიან ველებად აქცევენ.

მათ უკვე ამ რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებს 3 ათას ჰექტარზე მეტი ასეთი მიწები შემატეს.

ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მეთოდით მიმდინარეობს.

უკანასკნელ საათს

„მთვარის კაცი“ თბილისში

წუხელ ღამის 12 საათზე ტალინიდან თბილისში ჩამოფრინდა ამერიკელი ასტრონავტი ედგარ მიტჩელი.

აეროპორტში მას დახვდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გ. ჯიბლაძე, აკადემიკოსმდივანი ე. სეხნიაშვილი, აკადემიკოსი ე. ხარაძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ჯ. ლომინაძე.

... მან უკვე მეორედ დადგა ფეხი თბილისურ მიწაზე. შუა ხნის, სიმპათიური ამერიკელი ასტრონავტი ჩირველად ოთხი წლის წინათ იყო ჩვენთან და თავი დაგვახსოვა უპირველესად იმით, რომ სტუმრად გვყავდა „განსაკუთრებული ადამიანი“, კაცი, რომელსაც ჩვენს პლანეტაზე, მიწაზე ფეხის დადგმა არსად აღარ უკვირს, რადგან... მთვარეზე გახლავთ ნამყოფი.

ყველას კარგად გვახსოვს, რომ 1971 წელს ედგარ მიტჩელი ასტრონავტებთან ა. შეპარდთან და ს. რუსთან ერთად „აპოლონ-14“ კოსმოსური ხომალდით მთვარეზე გაფრინდა და თითქმის დღე-ნახევარი დაყო მის ზედაპირზე.

ოთხი წლის წინათ თბილისში ყოფნისას ედგარ მიტჩელმა განაცხადა:

— კოსმონავტინ (ციოლკოვსკი) წერდა, რომ კოსმოსში გასვლამ კაცობრიობას შეიძლება მისცეს „პური მთვარე და უსაზღვრო ძალიერება“, მაგრამ ახლა ჩვენ ის გვაწუხებს, რომ კოსმოსში ადამიანის საქმიანობას შეიძლება ირანახული კატასტროფა მოჰყვეს...

თვითმფრინავის ტრაპთან მივესალმეთ მას. ამერიკელი ასტრონავტი გულთბილ სურვილებს გადასცემს საქართველოს ხალხს. პირველ ავტოგრაფს ჩვენს მკითხველს უძღვნის:

Best regards to the "Communist" and staff

Edgar Mitchell

Sept 12, 1987

„საუკეთესო სურვილები გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს და რედაქციას. 12 სექტემბერი, 1987“.

გავიყვანოთ მეჩაიეობა ახალ დონეზე

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

11 სექტემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს ჩაის წარმოების ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. კ. ლიგაჩოვი, ვ. პ. ნიკონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი, საქართველოსა და აზერბაიჯანის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის მდივნები, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, აგროსამრეწველო კომიტეტების, მეჩაიეობის მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების ხელმძღვანელები, მეცნიერები, წარმოების მოწინავენი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

მომხსენებელმა, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ე. ი. სიზენკომ აღნიშნა, რომ ამ ბოლო ხანს მეჩაიეობისადმი ყურადღება ქვეყანაში შენელდა. მრავალ მეურნეობასა და ჩაის ფაბრიკაში უხეშად ირღვევა ჩაის ფოთლის მოყვანისა და მისი გადამუშავების აგროტექნიკა.

გაანალიზა რა საქმის ვითარება დარგში, ორატორი შეეხო ღონისძიებებს, რომლებიც უახლოეს დროში უნდა განხორციელდეს. მხედველობაშია ის, რომ მნიშვნელოვნად გაზარდონ ჩაის პლანტაციების ფართობები, გააახლონ ძველი ნარგავები, უფრო გაბედულად დანერგონ ახალი უხვმოსავლიანი ჯიშები, ითვისონ პროგრესული ტექნოლოგიები, მნიშვნელოვნად დაიჩქარონ სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია, უზრუნველყონ დამატებით სიმძლავრეთა ამოქმედება ჩაის მრეწველობის საწარმოებში.

დიდი ყურადღება დაეთმო დარგში სამეურნეო მექანიზმის, ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის გამოსვლაში აღინიშნა, რომ გარდაქმნამ გამოავლინა ბევრი ნაკლი მეჩაიეობის განვითარებაში.

რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები და სამეურნეო ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ ხარისხობრივ მხარეს. ამას ხელს უწყობდა არასრულყოფილი სამეურნეო მექანიზმიც, რომელიც სტიმულს აძლევდა ჩაის ნედლეულის მთლიანი მოსავლის გაზრდას ხარისხის საზიანოდ. ჯ. ი. პატიაშვილმა მოახსენა თათბირს, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება რესპუბლიკაში ჩაის პლანტაციების ფართობების გადიდებისათვის, მზა ჩაის ხარისხის გაუმჯობესების, დარგში სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის.

ჩაის ფოთლის გადამუშავების, ფაბრიკების ტექნიკური განახლების საკითხებს მიუძღვნეს გამოსვლები აზერბაიჯანის სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ ჩ. ს. მამედოვმა, სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მაღალთამშენებლობის მინისტრმა ლ. ბ. ვასილიევმა და თათბირის სხვა მონაწილეებმა.

ჩაის ფოთლის წარმოებისა და მისი გადამუშავების ტექნოლოგიის ზუსტი დაცვის, ჩაის ხარისხისათვის სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პასუხისმგებლობის გადიდების, ჩაის ფაბრიკებსა და მანქანათსაშენებელი სამინისტროების საწარმოებში სახელმწიფო მიღების დანერგვის საჭიროების, კოლექტიური იჯარის ფართო დანერგვის შესახებ ილაპარაკეს საქართველოს სსრ ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. გ. მეუნარგიამ, (მისი გამოსვლის ტექსტი ქვეყნდება გაზეთის მეორე გვერდზე), აზერბაიჯანის სსრ XXIV პარტყრილობის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა შ. ა. დოვლათოვმა.

მეჩაიეობაში მეცნიერული კვლევის გაღრმავების, წარმოებაში მისი უსწრაფესი ათვისების პრობლემებს შეეხო თავის გამოსვლაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დირექტორის მოადგილე ვ. პ. ცანავა.

თათბირზე გამოვიდა ი. კ. ლიგაჩოვი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა აღნიშნა, თუ რა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ჩაის წარმოებასთან და განსაკუთრებით მისი ხარისხის გაუარესებასთან დაკავშირებით ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა განხორციელდეს კარდინალური ღონისძიებანი, რათა სასწრაფოდ გავიყვანოთ სამამულო მეჩაიეობა ახალ სამეცნიერო-საწარმოო დონეზე, გააკრიტიკა საქართველოსა და აზერბაიჯანის მოკავშირე რესპუბლიკების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ამ დარგისადმი ხელმძღვანელობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების გამო.

ბოლო დროს მრავალი მეურნეობა უხეშად არღვევს ჩაის ფოთლის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკასა და განსაკუთრებით მისი კრეფის წესებს. ნედლეულის ჩაბარების გეგმების გადაჭარბებით შესრულებას გამოდევნებულ მეურნეობებში ფართოდ იყო გავრცელებული ჩაის ფოთლის კრეფა, რომელიც აღემატებოდა ოპტიმალურ მოცულობას, რაც მკვეთრად აქვეითებდა მის ხარისხს, უარყოფითს გავლენას ახდენდა ჩაის პლანტაციების პროდუქტიულობაზე. მრავალი მათგანი განახლებას საჭიროებს.

მეჩაიეობაში სუსტად იყენებენ განვითარების ისეთ ინტენსიურ ფაქტორებს, როგორიც არის ახალი სელექციური ჯიშების დანერგვა, რწყვა, ორგანული და მინერალური სასუქების მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენება, კომპლექსური მექანიზაცია. დარგის მთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს გადამუშავების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ყოველივე ამას, ზაზგასმით აღნიშნა ი. პ. ლიგაჩოვმა, მოჰყვა ის, რომ ბოლო დროს მკვეთრად გაუარესდა მზა ჩაის ხარისხი, რაც მომხმარებლის მრავალ და საფუძვლიან პრეტენზიას იწვევს.

ამჟამად სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით შესაბამისი ცენტრალური უწყებები რესპუბლიკების მეჩაიეობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ამუშავებენ და ახორციელებენ ამ დარგში საქმის ვითარების ძირეული გაუმჯობესების და უწინარეს ყოვლისა ჩაის ხარისხის ამაღლების ღონისძიებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ადგილობრივი ორგანოების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ უნდა გაფართოვდეს ჩაის პლანტაციების ფართობები ამ კულტურის მოვლა-მოყვანისათვის ვარგისი მიწების ხარჯზე. ამასთან დაკავშირებით საჭიროა, მეცნიერებისა და პრაქტიკის რეკომენდაციების გათვალისწინებით, გადაისინჯოს მეჩაიეობის ზონების სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის სქემა.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს უნდა გახახორციელოს უფრო ეფექტიანი ღონისძიებანი საქართველოს კოლხეთის დაბლობის ათვისების, ჩაის პლანტაციების სარწყავი და დასაშრობი სისტემების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მიზნით.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვის ორგანოების წინაშე დასახულია ამოცანა დანერგონ ინტენსიური და მცირენარჩენიანი ტექნოლოგიები, მკაცრად დაიცვან ისინი, ფართოდ გაავრცელონ ახალი ორგანიზაციული ფორმები, რათა მიიღონ მაღალი ხარისხის საბოლოო პროდუქტი, გაზარდონ ამ საქმით წარმოების ყველა რგოლის დაინტერესება.

სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სახაგრომრეწვს დაევალათ დაჩქარონ თანამედროვე დიდმწარმოებლური მანქანებისა და მოწყობილობების გამოშვება ჩაის მოვლა-მოყვანისა და პირველადი გადამუშავების და დაფასოების ფაბრიკების ტექნიკური განახლებისათვის.

ი. კ. ლიგაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა გაიზარდოს ჩაის დარგის მუშაკთა პირადი მატერიალური და მორალური დაინტერესება და პასუხისმგებლობა, რათა გადადდეს მაღალხარისხოვანი ჩაის წარმოება სამეურნეო ანგარიშის, კოლექტიური და ოჯახური იჯარის, სოციალური საკითხების კომპლექსური გადაწყვეტის საფუძველზე.

(საკდესი).

ცნობები ორგიტიდან

ზრენის მართვის ცენტრი, 11 სექტემბერი (საკდესი). მთავრდება იური რომანენკოსა და ალექსანდრე ალექსანდროვის „მირ“ ორბიტულ კომპლექსში მუშაობის მორიგი კვირა.

განვლილი დღეების მანძილზე „ენერგიამ“ საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში „კვანტ“ მოდულში დაგზავნილი ორბიტული რბილერატორის საშუალებით მოეწყო უჩვეულოდ ხისტი რენტგენული სპექტრის მქონე წყაროს გამოკვლევა. დაკვირვების ობიექტი მდებარეობს მაგელანის დიდ ღრუბელში ზეპანიკა ვარსკვლავის რაიონში.

დღეს ეკიპაჟის სამუშაო დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო გეოფიზიკურ გამოკვლევებს. კატი — 140 სტაციონარული ფოტოაპარატის საშუალებით კოსმონავტები გადაიღებენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის, კერძოდ, აზერბაიჯანისა და რუსეთის ცენტრალური შავმიწანაიდაგიანი ზონის ფოტოსურათებს.

დღის განრიგით გათვალისწინებულია აგრეთვე ცალკეული საბორტო სისტემების რეგლამენტური მომსახურება, სატელევიზიო რეპორტაჟი, ფიზიკური ვარჯიში.

ხვალ იური რომანენკო და ალექსანდრ ალექსანდროვი დაისვენებენ.

კოსმონავტთა მოხსენებისა და ტელემეტრიის მონაცემების მიხედვით, „მირ“ სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

წერილები „კომუნისტს“

გავაძლიეროთ მომთხოვნელობა

საქართველოს ბევრ დარგში სიახლეებისა და ექსპერიმენტების რესპუბლიკა შეგვიძლია ვუწოდოთ. ბევრმა ჩვენმა სიახლემ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში გაიკვლია გზა. ეს საამაყო და სასიხარულოა, მაგრამ თვითონ თუ ვიღებთ ამ სიახლეებისა და ექსპერიმენტების სიკეთეთა მაქსიმუმს? მე მგონია, ბევრს ვერაფერს. ამის დასტურია ამხანაგ ი. ლიგაჩოვის ნათქვამი, საქართველო მეცხოველეობის მრავალი სახეობის მხრივ სახელმწიფო დოტაციაზეაო. რატომ ხდება ასე, რატომ ვერ ვაღწევთ თავს ჩამორჩენას? ამის უპირველეს მიზეზად საშუალო და დაბალი რგოლის სამეურნეო ხელმძღვანელთა ძველი ინერციით სვლა, სხვისი მოიმედეობა, დაკისრებული მოვალეობისადმი უსულგულო დამოკიდებულება, საქმის არცოდნა თუ არკეთება მიმაჩნია.

ახლა ვიკითხოთ, შეგვიძლია თუ არა საკუთარ ფეხზე დადგეთ სასურსათო პროგრამის გადაწყვეტის საქმეში? მე მგონია შეგვიძლია, ოღონდ საჭიროა მკაცრი და მტკიცე, არაფორმალური კონტროლი და მომკითხველობა. ყველა დასახული ღონისძიების უთუო შესრულება.

მე ამ წერილში მინდა შეეეხო კიდევ ერთ ფრიად საყურადღებო, ქართველი კაცისთვის, მისი სულისათვის მიუღებელ, ამაზრზენ ფაქტს. საქმე ეხება „კომუნისტის“ 6 იანვისს ნომერში გამოქვეყნებული რ. დვალიშვილის უკანასკნელი ფელეტონის არსს, სადაც ლაპარაკი იყო „სიკეთით შენიღბულ სხვრბეზე“. აღწერილი ამბავი, ესეც ექსპერიმენტულ სიახლედ მიმაჩნია, ოღონდ, არა სამგალითო და გასავ

„უძლური გოლიათის“ უკელა სჭირდება

სხვისი იმედით ველარ ვიცხოვრებთ — ამბობენ ელმავალმშენებლები

ბაზეთ „გუდოკში“ ახლახან გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ „უძლური გოლიათები“, რომ იტყვიან, შეაშანშარა თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივი. კრიტიკული წერილი ხელიდან ხელში გადადიოდა, იყო ბეჭობა, სირცხვილისა და წყენის მართლაც არნახული შეგრძნება. მაგრამ რას იზამ, სიმართლე სამართებელივით მკერელია, მას თვალებში უნდა შეხედო, სწორედ ეს არის ვაუკაცობა.

პუბლიკაციის შინაარსი ბევრმა უკვე იცის, მკითხველს მჯოლოდ იმას შევახსენებთ, რომ ირკუტსკში გაგზავნილმა „ვლ-15“ სერიის ელმავლებმა უღალატეს რკინიგზელებს, მათ ელემენტარულ გამოცდას ვერ გაუძლეს და მართლაც გოლიათებივით გაქვავდნენ. ოდესღაც ნაქები „ვლ-11“ ლოკომოტივების გამომშვები საწარმო „გაზშავეს“. არადა, გასულ წლებში იმავე ირკუტსკიდან გამოგზავნილ ბარათებში აქებდნენ „ვლ-11“ სერიის ელმავლებს საუკეთესო საექსპლოატაციო თვისებებისათვის და დამატებით ითხოვდნენ ასეთ მანქანებს.

ასე იყო ადრე, ახლა კი საგანგებო შემთხვევა განსაკუთრებულ რეაგირებას საჭიროებდა, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. და გადაწყვიტეს ამ საკითხის გაერთიანების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გატანა. გაიმართა კიდეც ასეთი კრება 26 აგვისტოს, მაგრამ დღის წესრიგში ზემოხსენებულ საკითხთან ერთად მეორე საკითხიც იყო ცალკე გამოტანილი. დიახ, ცალკე, თუმცა ორივე ისინი ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს.

საქმე ის არის, რომ უძლური „გოლიათები“ გაერთიანების არასტაბილური მუშაობის მხოლოდ ერთი გახმაურებული ფაქტია და „ხელჩაკიდებულია“ მეორესთან — წარმოების მოცულობის გეგმების შეუსრულებლობასთან. გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 2 სექტემბერს გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში „ვინ ჩამორჩა, ვინ წარმოჩნდა“ სამი გაკრიტიკებული საწარმოდან ერთ-ერთი სწორედ ზემოხსენებული გაერთიანება იყო. პარტიულ-სამეურნეო აქტივზე მისი ჩამორჩენის 7 თვის შედეგებით იმსჯელეს, მაგრამ არც რვა თვის მაჩვენებლების მიხედვით გაუმჯობესებულა მდგომარეობა, შემკვეთი ამაოდ ელის აქედან მიწოდების ხელშეკრულებით ნავარაუდევ ყველა ლოკომოტივს.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თბილისელ ელმავალმშენებლებს თავის მხრივ ხელშეკრულება აქვთ დადებული ნოვოჩერკასკელ კოლეგებთან, რომლებიც ვერ ართმევენ თავს ლოკომოტივის საეკიპაჟო ნაწილების მოწოდების ვალდებულებას. ამ ნაწილების მიღების მოლოდინში იკარგება ძვირფასი დრო, ცდება ასობით კაცი. ხანდახან ეს მასალები თვის ან კვარტალის დამლევს მოდის ხოლმე და იწყება წარმოუდგენელი იერშობანა. ამ უკანასკნელს კი, როგორც წესი, ირკუტსკის „გაქვავებულ ელმავლებამდე“ მივყავართ. იერშობანა რომ ხარისხის დაუძინებელი მტერია, ეს ახალი ამბავი არ არის.

ასეთი ვითარება აწუხებდა გაერთიანებას, ამ საკითხზე გაუთავებელი ლაპარაკი იყო. საამქროებში, ცალკეულ საწარმოო უბნებზე ხმამაღლა გამოთქვამდნენ აღშფოთებას: როდემდე იქნება ასე, ვის შეეჩერებივართ ხელებში, ვისი იმედით ვცხოვრობთ, ვისზე ნაკლები ვართ, რომ ადგილზე არ ვაკეთებთ მთლიანად ჩვენს ელმავალს. ლოკომოტივი თბილისის მარკით გამოდის და მისი მასალების ნახევარს სხვები გვიგზავნიან. ჰოდა, სხვისი წუნიანი ნაწილებისთვისაც ჩვენ ვაგებთ პასუხს. მუშათა „ძახილის“ ექომ ადმინისტრაციაში, პარტიულ, პროფკავშირის, კომკავშირის კომიტეტებში შეაღწია, ყველა ფეხზე დააყენა.

გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ზ. ჩივაძემაც სწორედ ამით დაიწყო თავისი გამოსვლა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე. ეს შეკრება, აღნიშნა მან, საწარმოს მუშების დაჟინებული მოთხოვნაა. ისინი სამართლიანად მოითხოვენ მდგომარეობის გამოსწორებას, ქრონიკული ჩამორჩენისაგან თავის დაღწევას.

— სწორია, სწორი! — გაისმოდა შეძახილები ადგილიდან — ქუდზე კაცი გამოვა, ვიჩქაროთ, მივიღოთ კონკრეტული გადაწყვეტილება, ვთქვათ ფიცის ტოლფასი სიტყვა და შევუდგეთ საქმეს, დრო აღარ იხმარეს. ბოლოს და ბოლოს, შევიგნოთ, რომ ნოვოჩერკასკელები ვერ უზრუნველყოფენ ჩვენს მოთხოვნებს გოგორწყალებზე, გენერატორებზე, საეკიპაჟო ნაწილებზე. საკუთარი თავისთვის ვერ მოუვლიათ და აქ რას გვიშველიან...

აქტივის კრებაზე ერთმანეთს ცვლიდნენ უკვე სანელმოხვეჭილი ამორტიზებულია და განახლებას მოითხოვს. მეთორმეტე ხუთწლეულში გათვალისწინებულია ბუჩქების განახლების კონკრეტული აგროტექნიკური ღონისძიებანი. ამ მიზნით უნდა ამოიძირკვოს 50 ჰექტარი ჩაის პლანტაციები, მოეწყოს ტრმა სხვა 70 ჰექტარზე, საშუალო სხვა კი 40 ჰექტარზე. ეს, რა თქმა უნდა, არსებითად შეამცირებს ნედლეულის დამზადების მოცულობას და საგრძნობ გავლენას მოახდენს ჩვენი მეურნეობის ეკონომიკასა და მუშის ხელფასზე. მაგრამ ეს იძულებითი ღონისძიება უთუოდ შექმნის მზა პროდუქციის ხარისხის თანდათანობითი გაუმჯობესების რეალურ პირობებს. ხოლო რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას, იგი შეიძლება გაიზარდოს ფასების მოწესრიგების შედეგად, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესასაბამისად. ეს მით უფრო საჭიროა მეურნეობრიობის ახალ პირობებში.

ჩაის ფოთლის წარმოებისა და ხარისხისადმი გაზრდილ მოთხოვნებს არ შეესაბამება დარგის ტექნიკური უზრუნველყოფის თანამედროვე დონე. ოცდაცამეტი დასახელების მანქანიდან და აპარატიდან, რომლებიც ჩაის კომპლექსური მოვლა-მოყვანისათვის არის საჭირო, სერიულად მხოლოდ ნახევარი გამოდის. ჩვენ გვჭირდება უფრო თანამედროვე მანქანები, რომლებსაც შეეძლებათ დასაერო რელიეფის რთულ პირობებში მუშაობა და ტექნოლოგიური ოპერაციების მაღალ დონეზე შესრულება.

ჩაი საერთო-საკავშირო მნიშვნელობის კულტურაა, და ამიტომ ნედლეულის მოვლა-მოყვანის, კრეფისა და გადამუშავების ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა წყდებოდეს.

მექანიზაციის დონის ამაღლების მნიშვნელოვანი რეზერვია სშ-0611 თვითმავალ „ჩასხმითან“ დასაგრეგატებელი მანქანების, უნივერსალური მთა-ვაკის კომპლექსის დანერგვა, რომლის სერიული წარმოება ათ წელზე მეტი ხნით გაჭიანურდა. ვერა და ვერ ეღირსნენ მექანიზატორები ჩა-900 მთა-ვაკის ჩაის საკრეფ მანქანასაც, პლანტაციების გაწახლების ტექნიკურ საშუალებებს, აგრეთვე მცირე მექანიზაციის საშუალებებს.

დიდი მოთხოვნილებაა, განსაკუთრებით მიმდინარე ეტაპზე, ამორტიზებული პლანტაციების ამოსაძირკვ და ახალი პლანტაციების გასაშენებელ აგრეგატებზე. ჩვენმა სპეციალისტებმა გამოიადეს როტორული კუნძების ამოსაძირკვი მტპ-81-ა, [რომელმაც დადებითი შედეგები მოგვცა ძველი ჩაის ბუჩქების ამოძირკვის დროს.

ჩაი შრომატევადი კულტურაა, და, კილოგრამმა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი რომ მოკრიფოს, მეჩაიემ ხელით სულ ცოტა სამი ათასი მოძრაობა უნდა გააკეთოს. ჩაი იკრიფება ყოველდღე და ყოველნაირ ამინდში. ხელით რესპუბლიკაში იკრიფება მოსავლის ორ მესამედზე მეტი, ჩაის კრეფის მექანიზაცია მანქანებისათვის მიუდგომელ პლანტაციებში ურთულესი პრობლემაა. რესპუბლიკაში შექმნილი ხელის ჩაის საკრეფი აპარატები, რომლებიც მეჩაიეებმა მიიღეს, ჯერ კიდევ არ არის ტექნიკურად სრულყოფილი. მიზეზი ის გახლავთ, რომ არა გვაქვს შესაბამისი მიკროძრავები და ზიდაწყვეს მცირე სიმძლავრის ძრავები.

მინდა შეეეხო ტექნიკის ხარისხსაც. ცოდვა გამხელილი სჯობს — ჩვენ, მექანიზატორები, დიდი ხანია ველით სრულყოფილ მანქანებსა და მექანიზმებს. დიდი ხანია მომზადდა საჭიროება, რომ ნორმალური საწარმოო პირობები შეექმნას სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანის“ საწარმოებს, რომელიც ტექნიკას გვაწვდის. ხარისხიანი ტექნიკა თუ არ გვექნა, წარმოუდგენელია გარდაქმნა ჩვენს დარგშიც.

მნიშვნელოვანი საკითხია მანქანებისა და იარაღის უზრუნველყოფა სპეციალიზებული ტექნიკური მომსახურებით. აქაც ბევრი რამ უნდა გადაისინჯოს.

პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე ჩაის ფაბრიკების გადაყვანასთან ერთად, საჭიროდ მიმაჩნია სამრეწველო პროდუქციის მიწოდების იმავე პირობებზე გადავიყვანოთ მანქანათსაშენებელი საწარმოებიც. როგორც ყველგან, აქაც უნდა იყოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კოლექტიკების ურთიერთპასუხისმგებლობა.

ჩაის ხარისხის გაუმჯობესება, დამოკიდებულია პრობლემათა მთელი კომპლექსის გადაჭრაზე. აქ გადამწყვეტ როლს ასრულებენ ნედგის მშრომელები, კარგად გვესმის, რა პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს შექმნილი ვითარება, და მზად ვართ ყველაფერი ვიღონოთ, რათა გარეგანორციელთ დღეს დასახული ამოცანები.

ობის ძირეული გარდაქმნა კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას, ტექნოლოგიურ, მექანიკურ, ენერგეტიკულ და სხვა საწარმოო დანაყოფებს. მოიყვანეს ავტომექანიკური განყოფილების ხელმძღვანელთა მიერ საქმისადმი უგერგილო დამოკიდებულების ფაქტიც, გააკრიტიკეს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს საქმიანობა, მათს ხელმძღვანელებს მოსთხოვეს ამ ვითარებიდან საჭირო დასკვნების გამოტანა.

აქტივზე მთელი პრინციპულობით აღინიშნა, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელის მუშაობა არ შეეფერება დროის მოთხოვნებს, ხშირია საამქროებსა და განყოფილებებში წამოჭრილ საკითხთა უგულებელყოფის ფაქტები, ნაკლებად ხდება რაციონალიზატორთა გამოვლენა და მათი პრემირება. ბევრი ხელმძღვანელი სუსტად ერკვევა სიტუაციაში, არ გაარჩია შორეული პერსპექტივისა და სიახლის გრძნობა.

აქტივს წითელ ზოლად გასდევდა ღრმა ოპტიმიზმი. იგრძნობოდა საკუთარი ძალების, რთული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის რწმენა. მოიყვანეს არაერთი მაგალითი, როცა ელმავალმშენებლები გამარჯვებული გამოსულან რთული, დაძაბული მდგომარეობიდან. გაიხსენეს 20 წლის წინანდელი ამბავი, როცა ქარხანა ახალი „ვლ-10“ ელმავლის სერიულ გამოშვებაზე გადავიდა, პირველი მარცხიც — გამოშვებული პირველი პარტიის 117 ელმავალი ექსპლოატაციისას ჩელიაბინსკის გზაზე გაჩერდა. ქარხნის კოლექტივი ფეხზე დადგა, ეძია მიზეზი და „ვლ-10“-ის საიმედო მუშაობის გზებსაც მიაკვლია. თბილისური მარკით გამოშვებული ასეთი ტიპის ასობით ელმავალი დღესაც დაჰქრის ჩვენი ქვეყნის მაგისტრალებზე და დიდ მოწონებასაც იმსახურებს. შემდეგ — კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი: ქარხნის მიერ ათვისებულმა „ვლ-11“-მა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი დაიმსახურა!

კრებაზე საქებარი სიტყვები არ დაუშურებიათ მოწინავე ელმავალმშენებლების მიმართ. მაგალითად, ურიკების საამქროს უფროსმა ომარ მარფაშვილმა გამოზარდა პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები და შექმნა მთელი კოლექტივისათვის სამაგალითო ბრიგადა. იგი სათავეში ჩაუდგა ელმავლების ურიკების ათვისების რთულ საქმეს, გვერდში ამოიყენა კონსტრუქტორები, ტექნოლოგიური კვლევისა და გამოგონებებისადმი მიდრეკილი კოლეგები — გურამ ნანიტაშვილი, ალბერტ წიკლაური, ავთანდილ კოტრიკაძე, როლანდ ღუდუშაური, უკვე 1986 წელს მათ გამოუშვეს საკუთარი კონსტრუქციის ელმავლის 60, ხოლო მიმდინარე წელს 80 ურიკა.

გაერთიანების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება დამთავრდა. ელმავალმშენებლები ოპტიმიზმით ტოვებდნენ დარბაზს. სათქმელი ითქვა, გულწრფელად, პირდაპირ. ღრმად სწამდათ, რომ კოლექტივის ცხოვრებაში ეს დღე უკვალოდ არ ჩაივლის, ამის თავდები ხომ მათივე შრომის გმირული ისტორიაა. მაგრამ იქნებ სავსებით მაინც არ გამქრალა აქა-იქ მბჟუტავი ვიწრო შეხედულებები, სეპტიკური აზრები პრობლემის დაუძლევლობის შესახებ? — რას იზამ, დიდი კოლექტივის ყოველდღიურობაში ამასაც ვერ ასცდები.

ერთი რამ კი ცხადი და უდავო გახდა — სხვისი მოიმედეობით ყოფნა, სხვათა შემყურეობა აღარავის უნდოდა. ახალი აზროვნება ძალუმად არღვევს წინაღობებს... იმედია, რომ ელმავალმშენებლები არ გატეხენ სიტყვას, ყოველ ღონეს იხმარენ კონკრეტული საქმეებით მისი ხორცშესხმისათვის.

ვ. ზაქარაშვილი.



მეოცე საუკუნის ამთავრებენ სამხრეთ ოსეთის ალპურ საძოვრებზე წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ფარები.

ფერმის გამგე მ ვაჟა ბატაშვილმა გვითხრა: ყოველ ასნერგზე საშუალოდ 94 ბატკანი მივიღეთ. ომისა და შრომის ვეტერანმა, დიდებისა და ხალხთა მეგობრობის ორდენოსანმა ამირან ალადაშვილ მ ა კი 104 ბატკანი მიიღო და შეინარჩუნა.

სურათებზე: ამირან ალადაშვილ ი; არბოშიკის ფარები ქობეთის ხეობაში.

ლ. გუსლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გადავლახოთ უნდობლობის ბარიერი

◆ რა მოგვიტანა უმაღლესი სკოლების ფილიალების გაჩარავლ ე ბ ამ ◆ გარდაქმნა და კედაბოგთა კადრები ◆ სპეციალური პრინციპული ძვრები სწავლების შინაარსში ◆ გავათავისუფლოთ სტუდენტი ზედმეტი მეურვეობისგან ◆ დავამკვიდროთ მისაღებ გამოცდებზე მაქსიმალური საჯაროობა ◆ შეუერიგებელი ბრძოლა გამოვუცხადოთ თალ ი თ ე ბ ს ◆ მეტი ყურადღება სახელმწიფო გამოცდებს

ROოდესაც უმაღლესი სკოლების გარდაქმნის პროექტს ვიხილავდით, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე დაისვა კითხვა: ვართ კი მზად გარდაქმნისათვის? რა უნდა გავაკეთოთ სპეციალისტის პროფესიული, ინტელექტუალური და საქმიანი დონის ასამაღლებლად?

გამოირკვა, რომ ინსტიტუტში საკმაოდ დაგროვებული -გადასაწყვეტი პრობლემები, რომ ჩვენს მიერ მომზადებული სპეციალისტები ჯერ კიდევ ვერ პასუხობენ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური დონის მოთხოვნებს. დრო კი, საბჭუხაროდ, ხელიდან გაგვსხლტა და ჩვენ დღეს მდევრის როლში ვართ.

უმაღლესი სკოლების განვითარების ექსტენსიურმა გზამ ვერ მიგვიყვანა ახალ თვისებრივ ნახტომამდე, დაირღვა დიალექტიკური კავშირი რაოდენობასა და თვისებრიობას შორის, რაოდენობრიობა ზოგიერთმა ხელმძღვანელმა უმაღლესი სკოლების ქსელის დაუსაბუთებელ გაზრდად მიიჩნია. სწორედ ამის შედეგია, რომ სოკრატივით მომრავლდა უმაღლესი სკოლების ფილიალები. დაიქსაქსა სახსრები, რის გამოც ვერ შეექმენით საჭირო მატერიალური ბაზა წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში, საკმაო აღარ აღმოჩნდა წამყვან პროფესორ-მასწავლებელთა კონტინგენტი, მოგვიმრავლდნენ ვაი-პედაგოგები, ამის გამო გაუარესდა სწავლების ხარისხიც.

„პარტია აყენებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ამოცანას. ბოლო წლებში სპეციალისტთა გამოშვების ზრდას თან არ სდევდა მათი მზადების ხარისხის ჯეროვანი ამაღლება“, — ამბ. მ. გორბაჩოვის ამ სიტყვებიდან უმაღლესმა სკოლამ სამოქმედო-პრაქტიკული დასკვნები უნდა გამოიტანოს.

საწარმოო საშუალებების განვითარების არნახულმა ტემპმა ახლებურად დააყენა სპეციალისტის მომზადების საკითხი, მისი ფორმირება უფრო რთული, მრავალწახნაგოვანი გახდა. **დღევანდელ და მით უფრო ხვალინდელ სპეციალისტს უნდა შეეძლოს ნებისმიერ საწარმო სიტუაციაში მიიღოს ყველაზე გონივრული, მართებული გადაწყვეტილება. მას არა აქვს შეცდომის უფლება.**

„საბოლოოდ უნდა სრულყოთ სასწავლო პროცესის ორგანიზაცია და შინაარსი. ეს ორი ბრძა — ორგანიზაცია და შინაარსი — გაწუყოფელია“, — განაცხადა ამას წინათ რესპუბლიკის უმაღლესი სკოლების აქტივთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამბ. ი. კ. ლიგაჩოვმა. სასწავლო პროცესების ორგანიზაცია, სწავლების შინაარსის ძირეული გაუმჯობესება უმაღლესი სკოლების საქმიანობის გადაუდებელი ამოცანაა.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ქვეყნის სუბტროპიკულ აგროსამრეწველო კომპლექსს ემსახურება. ჩვენთან მზადდება კვალიფიციური კადრები არა მარტო ჩვენი რესპუბლიკისათვის, არამედ აზერბაიჯანისათვის, უზბეკეთისათვის, კრასნოდარის მხარისათვისაც. სწორედ ამიტომ ინსტიტუტი ინტერნაციონალურია, აქ ქართველებთან და აფხაზებთან ერთად სწავლობენ ჩვენი სამშობლოს 16 ერის წარმომადგენლები.

ჩვენთან მზადდება აგრეთვე საპედაგოგიო კადრები სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნებისათვის, ისინი ინსტიტუტში არსებულ ორ სპეციალიზებულ სამეცნიერო საბჭოზე იცავენ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს. ბოლო ოთხი წელია, ინსტიტუტში კვალიფიკაციას იმაღლებენ სოციალისტური ვიეტნამის წარმოების ხელმძღვანელები და სპეციალისტები.

ინსტიტუტი გარდაქმნის პროცესშია და სწორედ ამ დროს გამოვლინდა ჩვენი მუშაობის ნაკლიცა და მიღწევებიც. დადებითია ის, რომ მთლიანად კოლექტივმა სწორად აღიქვა გარდაქმნის აუცილებლობა, შეიგნო, რომ ძველებურად მუშაობა აღარ შეიძლება, რომ წარსულის კრიტიკა თვითმიზანი კი არა, არამედ საკუთარი შეცდომების აღიარებაცაა, მაშასადამე გარდაქმნა უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავით უნდა დავიწყოთ. თუ მასწავლებლის პროფესიული, მორალური და მოქალაქეობრივი სახე არ შეესატყვისება დღევანდელობას, იგი უმაღლეს სკოლაში არ უნდა მუშაობდეს. სამწუხარ-ოდ, ჯერ კიდევ გვყავს პედაგოგები, რომლებიც თავიანთი პროფესიული დონით (ზოგჯერ კი მორალური სახითაც) უმაღლესი სკოლის მასწავლებლობის ღირსნი არ არიან. ასეთებისგან დაუყოვნებლივ უნდა განვთავისუფლდეთ, მაგრამ როგორ? სამწუხაროდ, არც ძველი და არც ახალი სისტემა ამ მხრივ არაფერს გვთავაზობს, რაც საგრძნობლად გვირთულებს მუშაობას.

დღეს სწავლებაში ფართოდ შეიჭრა ტექნიკური საშუალებები, ინსტიტუტში უკვე შეიქმნა ავტომატიზებული აუდიტორიები და კლასები, მაგრამ ამ სიახლემ ჩვენი საქმიანობის ჩრდილოვანი მხარეებიც გამოაშკარავა. გამოირკვა, რომ მასწავლებელთა დიდი ნაწილი ვერ ფლობს ტექნიკური საშუალებების გამოყენების მეთოდებს. გამოსავალი მოიძებნა — შეექმენით სპეციალური მეთოდკაბინეტები მასწავლებლებისათვის, სადაც ისინი დიტალურად ეცნობიან სწავლებაში ტექნიკური საშუალებების გამოყენების საკითხებს, ეცნობიან უახლოეს მეთოდიკურ ლიტერატურას, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად იმაღლებენ კვალიფიკაციას.

ბევრი ხარვეზი გამოვლინდა გამოთვლითი ტექნიკის დანერგვისა და გამოყენების საკითხებში, ზოგიერთი პედაგოგისათვის დისპლეი და მასთან დაკავშირებული ტექნიკა ჩინური ანბანია. თვით ამ ტექნიკის შეძენაც პრობლემა გახდა: არ არსებობს სამსახური, რომელიც უმაღლეს სკოლებს მოამარაგებს საჭირო ტექნიკით. დრო კი არ ითმენს, — წარმოებებში უკვე იღებენ თანამედროვე ტიპის გამოთვლით ტექნიკას, ჩვენს მიერ მომზადებული სპეციალისტი კი მასზე სამუშაოდ მზად არ არის. ძვირადღირებული ტექნიკის უმოქმედობა ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას, რაც ძვირად უჯდება საზოგადოებას. **ყოველი სიახლე უპირველესად უმაღლეს სკოლებში უნდა დაინერგოს, ვინაიდან ადამიანები, ვინც ისინი უნდა გამოიყენონ, ჩვენთან უალიბდებიან სპეციალისტებად.**

პრინციპული ძვრები მოხდა სწავლების შინაარსშიც, ჩვენ აღარ გვაინტერესებს სტუდენტის მარტო ცოდნა საგნის შეთვისების თვალსაზრისით. ჩვენ უნდა გამოვავლინოთ აქვს თუ არა მას უნარი მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა, შეუძლია თუ არა მომავალ სპეციალისტს იმუშაოს კოლექტივთან, სწრაფად გაერკვეს ინფორმაციის მოზღვავებულ ნაკადში, შეუძლია თუ არა მუშაობა სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში, გარკვეულია თუ არა აღნიშნული მომართულებების სიკეთეში, მის ეკონომიკურ არსში, და, საერთოდ, ესმით თუ არა ის პრობლემები, რომლებიც დღეს დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე.

სწორედ ამიტომაა საჭირო უმაღლეს სკოლებში ინფორმაციული მასალისა და საგნების ოპტიმიზირება. ამ მიზნით იცვლება სასწავლო პროცესების სტრუქტურა, დიდ მნიშვნელობას იძენს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა. ცხადია, სტუდენტმა უნდა ისწავლოს, ხოლო მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მას სწავლაში, ეს კი დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს.

სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მაპროფილებელ კათედრებს დაევალთ სასწავლო პროგრამების დახვეწა-სრულყოფა, საწარმოო და სამეურნეო სიტუაციების დამუშავება, ტექნიკური საშუალებების დანერგვა. გასული სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სტუდენტები გადავიყვანეთ 70 წუთიან მეცადინეობაზე, გამონთავისუფლებული დრო — 60 წუთი ყოველდღიურად ეთმობა სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას.

დიდი ყურადღება სჭირდება სტუდენტებისა და მასწავლებლის ურთიერთობის მოწესრიგებასაც. უნდა მოიხსნას ყველა ბარიერი, რომელიც დაძაბულ სიტუაციას ქმნის. სტუდენტი უნდა გავანთავისუფლოთ ზედმეტი მეურვეობისაგან. იგი უკვე ჩამოყალიბებული მოქალაქეა და სტუდენტობა ქვეყნისა და საზოგადოების სამსახურად უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამიტომაა შემოღებული მატერიალური წახალისების სისტემა. ფრიადოსანი სტიპენდიის 50 პროცენტიან, ხოლო ქარგოსანი 25 პროცენტიან დანამატს იღებს. სტუდენტს ეძლევა საშუალება გათვისებულ ფულს სასესიო გამოცდებისაგან, თუ თავს გამოიჩენს კოლექტივუმებისა და სემინარული მეცადინეობისას.

სტუდენტთა შემოქმედებითი ცოდნის გაღრმავებისათვის შემოღებულია სწავლების ახალი ფორმა-დისკუსია. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტს არა მარტო აიმაღლოს პროფესიული ცოდნის დონე, არამედ ეზიაროს კამათისა და საკუთარი აზრის ლაკონურად გამოთქმის კულტურას, რაც ესოდენ საჭიროა სპეციალისტისათვის. შეიქმნა სტუდენტთა თვითმმართველობა, თუმცა აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სტუდენტობა დემოკრატიზაციის ამ პროცესს მოუმზადებელი შეხვდა, ჯერ კიდევ ვეძებთ თვითმმართველობის სფეროებს, რომლებიც შემდგომ ეტაპებზე გაფართოვდება.

უმაღლეს სკოლებში გარდაქმნა მისაღები გამოცდებით იწყება. იგი უნდა ჩატარდეს მაქსიმალური საჯაროობის ვითარებაში. არც ერთი კითხვა, რომელიც შეიძლება დაებადოთ აბიტურიენტს ან მის გულშემატკივრებს, არ უნდა დარჩეს უპასუხოდ. ინსტიტუტში დიდი ზანია შეიქმნა ვითარება, რომელიც საშუალებას აძლევს ყველა მსურველს დაუყოვნებლივ შეხვდეს ხელმძღვანელობას. უფრო მეტიც: პარტიის საოლქო კომიტეტთან შეთანხმებით, მსურველებს შეუძლიათ შეხვდნენ ხელმძღვანელ მუშაკებს ინსტიტუტშივე. ყველა საკითხი, რომელიც შეიძლება წამოიჭრას მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით, ადგილზევე დაუყოვნებლივ წყდება. სწორედ ასეთ ვითარებაში ჩავატარეთ მიმდინარე წლის მისაღები გამოცდებიც. გამოცდების ჩატარებისას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით კეთილმოსურნეობის ვითარების შექმნას, აბიტურიენტი გრძნობდა თანადგომას, [ჯანსიმალურ გულისხმიერებას.

გამოცდების დაწყების წინ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე სამართლიანად ითქვა, რომ მისაღები გამოცდების სისტემა თავისთავად ქმნის დაძაბულ, ნერვიულ სიტუაციას, რომ მიმღები კომისიის საქმიანობა გასაიდუმლოებულია, ღრმა იატაკქვეშეთში მიმდინარეობს, რომ საჭიროა სიტუაციის გამარტივება...

უკვე მეათე წელია, ჩვენ ინსტიტუტში აღარ გვჭირდება წესრიგის დასამყარებლად მილიციის მოხმობა. ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია შეხვდეს ინსტიტუტის ნებისმიერ ხელმძღვანელს. ამის შედეგი ის გახლავთ, რომ აღნიშნულ პერიოდში გამოცდების თაობაზე არ ყოფილა არც ერთი საჩივარი და განცხადება ზემდგომ ორგანოებში.

ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ყველაფერი წესრიგში გვქონდეს და აღარაფერი იყოს გასაკეთებელი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი ნეგატიური მოვლენა დაფლეთელია.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ჩრდილშია ჩვენი საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი უბანი, როგორიცაა სახელმწიფო გამოცდები. თორმეტი წელიწადია რექტორად-მა-დისკუსია. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტს არა მარტო აიმაღლოს პროფესიული ცოდნის დონე, არამედ ეზიაროს კამათისა და საკუთარი აზრის ლაკონურად გამოთქმის კულტურას, რაც ესოდენ საჭიროა სპეციალისტისათვის. შეიქმნა სტუდენტთა თვითმმართველობა, თუმცა აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სტუდენტობა დემოკრატიზაციის ამ პროცესს მოუმზადებელი შეხვდა, ჯერ კიდევ ვეძებთ თვითმმართველობის სფეროებს, რომლებიც შემდგომ ეტაპებზე გაფართოვდება.

უმაღლეს სკოლებში გარდაქმნა მისაღები გამოცდებით იწყება. იგი უნდა ჩატარდეს მაქსიმალური საჯაროობის ვითარებაში. არც ერთი კითხვა, რომელიც შეიძლება დაებადოთ აბიტურიენტს ან მის გულშემატკივრებს, არ უნდა დარჩეს უპასუხოდ. ინსტიტუტში დიდი ზანია შეიქმნა ვითარება, რომელიც საშუალებას აძლევს ყველა მსურველს დაუყოვნებლივ შეხვდეს ხელმძღვანელობას. უფრო მეტიც: პარტიის საოლქო კომიტეტთან შეთანხმებით, მსურველებს შეუძლიათ შეხვდნენ ხელმძღვანელ მუშაკებს ინსტიტუტშივე. ყველა საკითხი, რომელიც შეიძლება წამოიჭრას მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით, ადგილზევე დაუყოვნებლივ წყდება. სწორედ ასეთ ვითარებაში ჩავატარეთ მიმდინარე წლის მისაღები გამოცდებიც. გამოცდების ჩატარებისას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით კეთილმოსურნეობის ვითარების შექმნას, აბიტურიენტი გრძნობდა თანადგომას, [ჯანსიმალურ გულისხმიერებას.

გამოცდების დაწყების წინ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე სამართლიანად ითქვა, რომ მისაღები გამოცდების სისტემა თავისთავად ქმნის დაძაბულ, ნერვიულ სიტუაციას, რომ მიმღები კომისიის საქმიანობა გასაიდუმლოებულია, ღრმა იატაკქვეშეთში მიმდინარეობს, რომ საჭიროა სიტუაციის გამარტივება... ამაზე რას ჰგავს — დეკორატიული მებაღეობის სპეციალისტებს ვამზადებთ, ეზო კი არ გვივარგა. ასე კი ვთვლიდით, მაგრამ ამ საკითხის მოგვარებას არ ვიმუშავებდით, აქაოდა, სხვა, უფრო გადაუდებელი საკითხებია მისაბედიო. ჰოდა, გაჩანაგდა ინსტიტუტის ეზო. სწორედ რომ დროულად ჩაერივნენ ‘ვეტერანები, კრიტიკამ გამოგვაფხიზლა.

მინიშნებულ უფლებებს ჩვენს კოლექტივში ვინმეზე თავდასასმელად, პირადი ანგარიშსწორებისათვის არავინ იყენებს. თუმცა გალანძღვისა და გულის ტკენის გარეშეც შეიძლება ადამიანები გავჯერიტიკოთ საქმიანი კეთილმოსურნეობის ატმოსფეროში. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ყველგან და განსაკუთრებით საადგილმამულო დაწესებულებაში, სადაც ჩვენი ურთიერთობისა და დამოკიდებულების მაგალითზე ეზრდება მომავალი ცვლა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენთან აგრონომიული ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ახალი სქემით მოეწყო. კენჭს იყრიდა რამდენიმე პრეტენდენტი. ყველა ძალზე პატივცემული პიროვნება, თავის დარგში აღიარებული შეცნიერი, პრინციპული, საღად მოაზროვნე ადამიანი. როცა ერთ-ერთმა პათგანმა ერთი ხმით მეტი მოიპოვა და გაიმარჯვა, დანარჩენებმა იქვე გულწრფელად მიულოცეს. არავითარი ნეგატიური გაგრძელება მათ საკონკურსო მეტოქეობას არ მოჰყოლია, რადგან თვითონ პრეტენდენტები აღ

ᲔᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲞᲝᲠᲘᲡᲠᲘᲕᲘ ᲨᲠᲣᲜᲕᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲔᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲙᲐᲜᲝᲜᲖᲝᲛᲘᲔᲠᲘᲐ ᲓᲦᲔᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲠᲗᲕᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ-ᲐᲛᲐᲒᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲐᲨᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲔᲑᲘᲗᲝᲪ ᲝᲒᲠᲫᲘᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲬᲛᲝᲜᲔᲑᲝᲗ ᲨᲔᲮᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲞᲠᲐᲖᲓᲐᲨᲘ“ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ „ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲗ ᲔᲐᲛᲥᲐᲗᲐ ᲮᲘᲓᲔᲑᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲬᲔᲠᲓᲜᲔᲜ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲘ Ა. ᲗᲐᲕᲑᲔᲚᲘᲫᲔ, Ა. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ, Ი. ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ Ა. ᲐᲤᲐᲙᲘᲫᲔ. ᲞᲣᲑ ᲚᲘᲙᲘᲪᲘᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕ ᲗᲣᲡᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚ. ᲛᲔᲪ ᲛᲣᲡᲢᲠᲣ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲗᲕᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲥ ᲬᲐᲛᲝᲛᲯᲠᲘᲚᲘ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲘᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲕᲔᲯᲛᲐᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ „ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲗ ᲔᲐᲛᲥᲐᲗᲐ ᲮᲘᲓᲔᲑᲘ“

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ, კერძოდ, ეროვნული კულტურისადმი დამოკიდებულება საკითხი პოლიტიკური და მეცნიერული დავის საგანი გახდა ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში. ამ დავას დიდი რეზონანსი ჰქონდა. მან თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც კი მარქსიზმი გავრცელდა, მწვავე ხასიათი მიიღო. მარქსიზმსა და მარქსისტებს მიაწერდნენ ეროვნულ ნიჰილიზმს, უდარდელ დამოკიდებულებას ეროვნული კულტურისადმი. ამ აზრის უსაფუძვლობისა და მცდარობის დამადასტურებელია თუნდაც ჩვენი რესპუბლიკის მაგალითი.

ჯერ ერთი: მენშევიკური მთავრობა, როგორც ცნობილია, დედაქალაქიდან გავიდა 1921 წლის 24 თებერვალს, როცა კიდევ არ იყვნენ ქალაქში შემოსული აჯანყებულები და საბჭოთა არმიის ნაწილები, რის გამოც საფრთხეში აღმოჩნდა რესპუბლიკის სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებანი, ისტორიისა და კულტურის უნიკალური ძეგლები, მაგრამ ქართველმა ინტელიგენციამ და ქალაქში მოღვაწე ბოლშევიკმა პატრიოტებმა დიდი წინადახედულება გამოიჩინეს, როდესაც შექმნეს „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი“ პაოლო იაშვილის, ლევან მეტრეველისა და მუშა ბოლშევიკის გალაქტიონ ვაშაძის შემადგენლობით. მათ შეაღარღეს მუშები, აღადგინეს ქალაქში წესრიგი, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებს, რომლებშიც დაცული იყო ისტორიისა და ეროვნული კულტურის ის ძეგლები, რომელთა წაღება მენშევიკებმა ვერ მოასწრეს, საიმედო დაცვა დაუნიშნეს. საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტმა თავისი ფუნქციები 25 თებერვალს ქალაქის რევოლუციურ კომიტეტს გადაბარა. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა ბედი ამიერიდან საიმედო ხელში იყო.

მეორე: რესპუბლიკის რევკომი 1921 წლის 29 აპრილიდან შეუდგა საარქივო საქმის მოწესრიგებას. რესპუბლიკაში მიმოფანტულ არქივსაცავებში დაცული წერილობითი ძეგლები ჩაირიცხა ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდში და მტკიცე კონტროლი დაუწესდა.

მესამე: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად 1921 წლის 28 მაისს მიიღო დადგენილება „სიძველისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის“ შესახებ.

მეოთხე: 1923 წლის მთავრობის სპეციალური დეკრეტით განხორციელდა სამუზეუმო საქმის რეორგანიზაცია, დაარსდა საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი. ამავე წლის 23 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს სახალხო კომისარიათა საბჭომ მეცნიერებათან კონსულტაციით განსაზღვრა „საეკლესიო განძეულების გამოყენების წესი“, რომლითაც ისტორიული მნიშვნელობის განძეულობა მუზეუმებს ჩაბარდა, ხოლო მატერიალური ფასეულობანი — ადგილობრივ ხელისუფლებას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაასაღლიერებლად. ყოველივე ამაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს სიძველეთა დაცვის კომიტეტმაც.

მეხუთე: საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო საქართველოდან წლების მანძილზე (უსეთმა გატანილი საარქივო და სამუზეუმო განძეულობათა რეეგაკუაცია. ეს განძი დაცული იყო კრასნოდარის, სტავროპოლის, მოსკოვის, პეტერბურგისა და სხვა არქივსაცავებსა და მუზეუმებში. ქართული ეროვნული კულტურისა და ისტორიის უნიკალური ძეგლების საქართველოში დაბრუნების თაობაზე 1922 წლის 20 იანვარს საბჭოთა რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა (ვ. ი. ლენინის ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შესასრულებლად შეიქმნა კომისია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, რუსეთის ფედერაციის განათლების სახალხო კომისარიატისა და საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლთა მონაწილეობით.

სამშობლოში დაბრუნებული ძვირფასი განძი თბილისის არქივსაცავებსა და მუზეუმებში დაადინავეს. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეროვნული კულტურის შემდგომი გაჭეთარებისათვის.

40-იან წლებში კვლავ განახლდა მეცადინეობა რუსეთში შემორჩენილი ძველი წერილობითი ძეგლების გამოვლენა-შესწავლისათვის, აგრეთვე მატერიალური კულტურის უნიკალურ ძეგლთა მოვლა-პატრონობის, რუსეთში ემიგრირებულ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა სახელებთან დაკავშირებული ისტორიული ადგილების აღდგენისა და კეთილმოწყობისათვის.

კონტაქტები

„საქართველო — ჩემი სიყვარული“

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ფედერაციული რესპუბლიკის ტურისტთა ჯგუფმა ყვავილებით შეამკო თბილისის გმირჯვების პარკში უცნობი ჯარისკაცის ძეგლი.

ისმის მუსიკა. ჩუმად დგანან ძეგლთან ისინი, ვინც პატივი მიაგო საბჭოთა ჯარისკაცის ხსოვნას. შემდეგ ქალაქ პატერნტეტენის ბურგომისტრმა პეტერ დიგლერმა სულ ერთი ფრაზა წარმოთქვა: „დაე, ომის საფრთხე ევროპასოდეს წარმოქმნილიყოს გერმანიის მიწა-წყლიდან“.

როცა ჯგუფი გასასვლელისაკენ მიდიოდა, საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა პეტერ დიგლერს ეამბნა, რამ მოიყვანა იგი და მისი თანამემამულენი ამ პარკში, საქართველოში, თბილისში.

—საქართველო ჩემი სიყვარულია! — თქვა მან. — მეხუთედ ჩამოვდიავარ აქ და ყოველი ჩამოსვლისას ეს შშვენიერი მხარე აღმოჩენია ხოლმე ჩემთვის. მრავალი წელია ვსწავლობ საქართველოს ისტორიას, მის კულტურას, ენას. მარტო მე როდი მიყვარს ეს ქვეყანა — ჩემი პატერნეტეტენელი მეგობრები, რომლებსაც საქართველო თვალით არ უნახავთ, სწავლობენ ქართულს, კითხულობენ თქვენი ავტორების ნაწარმოებებს, მისხალ-მისხალ აგროვებენ ინფორმაციას რესპუბლიკის, მისი წარსულისა და აწმყოს შესახებ.

აი, ახლაც მოვედით აქ, რათა ეპატივი მივაგოთ შინმოუსვლელ ჯარისკაცს. თქვენს პატარა რესპუბლიკას ხომ იმათი ნახევარიც არ დაბრუნებია, ვინც სამშობლოს დასაცავად გაგზავნა. მთელმა ჩვენმა ჯგუფმა თავის მოვალეობად მიიჩნია კიდევ ერთხელ გეახსენებინა ეს.

საქართველოში სულ თორმეტი დღე დავყავით. იმათთვის, ვინც აქ პირველად ჯარის, ეს ძალზე ცოტაა. კაცმა რომ თქვას, არც ჩემთვის არის ბევრი, თქვენი მხარის გასაცნობად საკმარია ისი უფრო ხშირი სტუმარი გახდე. სულ იმას ვნატრობ, ნეტავ საქართველოს ერთ-ერთი ქალაქი პატერნეტეტენს დაუძმობილდეს.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. *თვითმფრინავში განლაგებული ამერიკული ოფთალმოლოგიის კლინიკის პირველ ვიზიტს სსრ კავშირში მაღალი შეფასება მისცა მისმა აღმასრულებელმა დირექტორმა ოლივერ ფუტმა.* ჩვენი პროგრამის — „ორბისის“ მთავარი მიზანია გავრცელოს ინფორმაცია თვალის დაავადებათა ქირურგიული მკურნალობის უახლესი მეთოდების შესახებ, თქვა მან ამერიკის ენბი-სის ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში. ფაქტობრივად ჩვენი კლინიკა საჰაერო უნივერსიტეტია. დროის 80 პროცენტს ვმუშაობთ განვითარებადს ქვეყნებში, ეეხმარებით მათ პრაქტიკულად აითვისონ უახლესი მიღწევები თვალის ქირურგიის დარგში. ჩვენი მეცადინეობის დანარჩენ 20 პროცენტს ვუძღვნით ასეთი მიღწევების შესახებ ინფორმაციის შეკრებას.

ამ მიზნით ჩავდივართ მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში — ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთში, და აი, ახლა ეეწვეთ საბჭოთა კავშირს. ჩვენი მოგზაურობა სსრ კავშირში, რომელიც ეს-ეს არის დამთავრდა, თქვა შემდეგ ამერიკელმა ოფთალმოლოგმა, უაღრესად სასარგებლო იყო. საბჭოთა კოლეგებმა გაგვაცნეს ქირურგიული მეთოდები და ხერხები, რომლებიც დასავლეთში წინთა არც კი სმენიათ. მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, ბელგიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის წამყვანმა ქირურგებმა, რომლებიც ჩვენთან ერთად სამოგზაურო მოვიწვიეთ, გვიჩვენეს თავიანთი მიღწევები. ასე რომ, მთლიანად ეს იყო ურთიერთსასარგებლო საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის შესანიშნავი მაგალითი, ხაზგასმით აღნიშნა ო. ფუტმა.

ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. *ლაიფციგში მიმდინარე საერთაშორისო საშემოდგომო ბაზრობაზე გაიმართა ოქროს მედლების გადაცემა. უკვე დიდი ხანია ტრადიციად იქცა იმ პროდუქციის საუკეთესო ნიმუშების ამგვარად აღნიშვნა, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ტექნიკური თვისებებით და თანამედროვე გარეგნული სახით.* ახლანდელი ფორუმი თავისებურად იუბილედ გადაიქცა — მედლები და დიპლომები ორმოცდამეათეჯერ გადაიცა.

ლაიფციგის ბაზრობის უმაღლესი ჯილდოები მიეკუთვნა საბჭოთა პავილიონის 16 ექსპონატს. მათ შორის აღნიშნეს მიკროკომპიუტერი ელექტრონიკა-85, უმაქოო საქსოვი დაზგა სტბ-250, მიკროსპექტროფლუორიმეტრი მსფ-2, აგრეთვე მუსიკალური ინსტრუმენტები, სახალხო მოხმარების საქონელი, ბეწვეული.

ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ

ᲚᲘᲑᲐᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. *ლიბანის მთავრობამ მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სასწრაფო ღონისძიებანი განახორციელოს, რათა აიძულოს ისრაელი შეწყვიტოს დანაშაულებრივი თავდასხმები ლიბანის ტერიტორიაზე და დაიცვას უშიშროების საბჭოს რეზოლუციების დებულებები და საერთაშორისო სამართლის ნორმები.* ეს მოწოდება გამოთქმულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლიბანის მუდმივი წარმომადგენლის აქ გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც მან გაუგზავნა ორგანიზაციის გენერალურ მდივანს იმასთან დაკავშირებით, რომ 5 სექტემბერს ისრაელმა დაბომბა სამხრეთ ლიბანის ქალაქები და დაბები, აგრეთვე იქ განლაგებულ პალესტინელთა ბანაკები, ამ დაბომბვის შედეგად, აღნიშნულია წერილში, დაიღუპა 49 და დაიჭრა 70 კაცი, რომელთა უმრავლესობა სრულიად უდანაშაულო მშვიდობიანი მცხოვრებია. დაბომბვისათვის შერჩეული დრო და მისი განხორციელების ხასიათი მოწმობს, რომ ისრაელს განზრახული აქვს, რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენოს სამოქალაქო მოსახლეობას.

ლიბანმა განაცხადა, რომ იტოვებს უფლებას, მოითხოვოს უშიშროების საბჭოს მოწვევა აგრესიისა და უკანონობის ამ სასტიკი აქტის საკითხის განსახილველად.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲔᲠᲐ — ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗ

ᲦᲘᲐ ნაცრისფერი კირქვით ნაგები მასიური შენობა ხასხასა ქვების მოხდენილი მოზაიკით მორთული ფრონტონით. მცხუნვარე მზისაგან მსუბუქი ქოლგების ქვეშ თავი შეუფარებია ხალხს, ქათქათა პლასტმასის მაგიდებს უსხედან, ყაყაჩ ან ლიმონათს მიირთმევენ და საუბრობენ. იქვე საკმაოდ მოზრდილი აუზი კი ბავშვებს დაუპყრიათ. მოხერხებულ სკამსწოლებზე წამოწოლილნი დედები და მამები მზის აბაზანებს იღებენ და თვალყურს ადევნებენ ბავშვებს. ირგვლივ — სიმშვიდე, მყუდროება და სუფთა მთის ჰაერი...

ასე გამოიყურება ბლაგოვეშჩენსკის ოლქის ქალაქ გოცე-დელჩევის მიხეილ ანტონოვის სახელობის რადიოაპარატურის კომბინატის მშრომელთა დასასვენებელი სახლი. პირნისა და როდოპის განშტოებებს შორის შეფუყული, სოფელ ოგნანოვოს მახლობლად მდებარე ჯანმრთელობის კერამ ჯერ კიდევ შარშან მიიღო დამსვენებლები. მართალია, ამ ბოლო დროს ამგვარი დასასვენებელი და სამკურნალო ბაზები მრავლად აშენდა ბულგარეთში, მაგრამ ეს განსაკუთრებული.

— მთელი კომპლექსი აშენებულია სამეურნეო წესით, ესე იგი მხოლოდ კომბინატის მშრომელთა ხელით — თვისუფალ დროს. ყველაფერი, ავეჯისა და ინტერიერის ზოგიერთი დეტალის გარდა, მათი გაკეთებულია, — მეუბნება დასასვენებელი სახლის დირექტორი ასენ დონოვი. და ის სიამაყე, რომელიც მის ხმაში იგრძნობა, გასაგებია. — მიაქციეთ ყურადღება ამ პანოს, — მომითითა მთელ მოჩუქურთმებულ კედელზე. — ესეც ჩვენი მოყვარული ხელმარჯვეების ნახელავია. ორი საცურაო აუზიც კი, ერთი მათგანი ორმოცდაათმეტრიანია, მონტაჟი თვითონ დაამონტაჟეს და მოაპირკეთეს. თუმცა კონსულტაციისათვის, რასაკვირველია, სპეციალისტებიც მოვიწვიეთ. წყალი კი აქ ჩვეულებრივი არ არის — მინერალური, სამკურნალო 36 გრადუსამდე ტემპერატურის. ასე რომ, ჩვენთან მარტო დასვენება კი არა, მკურნალობაც შეიძლება.

კომპლექსის დათვალიერებამ დაგვარწმუნა ამაში. ერთი სართული ჯანმრთელობის სამსახურს გამოეყო — აქ არის საექიმო კაბინეტები, აბაზანები, შხაპები, ფიზიკულტურისა და აერობიკის დარბაზები, დასასვენებელი ოთახები, სადაც მოწყობილია ელექტრონული თამაშები, შეგიძლიათ ითამაშოთ ჭადრაკი, ბილიარდი, მაგიდის ჩოგბურთი. — კონდიციონერიან სარდაფში მშვენიერი კეგლბანია. კომპლექსში არის რამდენიმე კაფე, უალკოჰოლო ბარი, ხალათი სასადილო. ა. დონოვმა გვითხრა, რომ ჯანმრთელობის კერას აქვს დამხმარე მეურნეობა, საადრეო ბოსტნეულისა და კენკრის ორანჟერეა, მეღორეობისა და მეცხვარეობის ფერმები, მოშენებული ჰყავთ კობრი და კალმახი, მოჰყავთ ქამასოკო. კომპლექსს ყველაფერი თავისი ჰყოფნის. როგორც დირექტორნა გვითხრა, ცვლაში 120_130 კაცი ისვენებს, ოჯახს აძლევენ ცალკე ოთახს, სადაც დგას სამარხიანი რადიო და კაბელიანი ვიდეომოწყობილობა.

რა ჯდება თქვენთან დასვენება?

დირექტორს გაეღიმა: „ყველაფერი მტკიცე პროფკავშირული ფასებია არის განსაზღვრული, ზოგისთვის კი საგაზური პრაქტიკულად მუქთაა. თითოეულ ცვლაში — სეზონის მიხედვით — შენობის ნაწილს დარგის სხვა საწარმოთა მუშაკებს ვუთმობთ. უკვე ვვარაუდობთ ბაზის გაფართოებას. ერთადერთი, რაც გვაკლია, ზღვაა....“

საკდესის კორ.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ორმოცდამეორე სესიასთან დაკავშირებით, რომელიც 15 სექტემბერს იხსნება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძის მეთაურობით. უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა უკრაინის სს რესპუბლიკის დელეგაცია რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. ა. კრავცოვის მეთაურობით.

ბელორუსის სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ბელორუსის სს რესპუბლიკის დელეგაცია რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ე. გურინოვიჩის მეთაურობით. (საკდესი).

ᲣᲙᲘᲡᲝᲠᲘᲢᲘᲨᲘ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲠᲜᲘᲚᲘ
ᲒᲐᲓᲛᲝᲒᲕᲪᲔᲛᲡ
11 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ ● ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ

ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲐ ᲔᲗᲘᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲐᲓᲘᲡ-ᲐᲑᲔᲑᲐ. *აფრიკის პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა ახალი სახელწოდება — ეთიოპიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. მისი შექმნა გამოაცხადა ეროვნული კრების — შენგოს პირველმა სესიამ.*

ეთიოპიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს ეთიოპიის შუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მენგისტუ ჰაილე მარიამი, ვიცე-პრეზიდენტად — ეთიოპიის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფისეჰა დესტა.

აირჩიეს ეთიოპიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები. ეთიოპიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა ეთიოპიის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ფიქრე-სელასიე ეოგდერესი.

ეროვნული კრების სესიის მიმდინარეობამ ცხადყო, რომ 1974 წლის ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის შედეგად არჩეულ ყრილს მხარს უჭერს ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენა. 813 დეპუტატთა შორის, რომლებმაც გამოაცხადეს, რომ შეიქმნა ეთიოპიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, არიან გლეხები, მუშები, სახელმწიფო მოსამსახურეთა, ინტელიგენციის, რევოლუციური არმიის წარმომადგენლები.

10 სექტემბერს სესიის საღამოს სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის მეთაური. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ლ. ნ. ზაიკოვი.

ეთიოპიის ძველ მიწა-წყალზე სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ეთიოპიელი ხალხის ცხოვრების ისტორიული მოვლენაა, თქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა. აფრიკის კონტინენტის რუკაზე გაჩნდა სახელმწიფო, რომელიც მშრომელი ადამიანების ინტერესების, მათი ბედნიერების, მათი მომავლისათვის ზრუნვას ისახავს მიზნად. სახელმწიფო, რომელიც იმ მტკაცე ძალას წარმოადგენს, მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობის საქმეს რომ იცავს. ამ მოვლენის მნიშვნელობა სცილდება თქვენი ქვეყნის ფარგლებს. იგი დამაჯერებლად მოწმობს, რომ ვერავინ ჩაკლავს ხალხების მისწრაფებას სოციალური პროგრესის, დემოკრატიისადმი, უკეთესი ცხოვრებისადმი, არა ერთი მუქა ექსპლოატატორებისათვის, არამედ მილიონობით მშრომელი ადამიანისათვის. ამტომაც, ძვირფასო მეგობრებო, თქვენი ახლანდელი დღესასწაული ჩვენთვისაც, საბჭოთა ადამიანებისთვისაც, სასიხარულო მოვლენაა.

ეთიოპიის მუშათა პარტიას მიეჩნევთ თანამებრძოლად მშვიდობისა და სოციალური პროგრესის იდეალებისთვის საერთო ბრძოლაში. სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება დასაბამს აძლევს ეთიოპიის რევოლუციის განვითარების ახალ ეტაპს.

საბჭოთა ხალხის, მისი კომუნისტური პარტიის სახით თქვენ ყოველთვის გყავდათ და გეყოლებათ ერთგული მეგობარი და მოკავშირე! ეთიოპიელი ხალხი არაერთხელ დარწმუნებულა ამაში, თანაც არა მარტო მძიმე განსაცდელის პერიოდში.

საბჭოთა კავშირისა და ეთიოპიის მეგობრობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა მტკიცდება და ვითარდება, წლითიწლობით ძლიერდება. მათ მყარი საფუძველი აქვთ — მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ეთიოპიის მუშათა პარტიის რევოლუციური სოლიდარობა, ჩვენი ორი ხალხის თანასწორუფლებიანობა და ურთიერთპატივისცემა. სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შედეგად საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის ურთიერთობა კიდევ უფრო მრავალმხრივი გახდება. ასეთი პერსპექტივა გვახარებს..

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ეთიოპიის მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ეთიოპიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მენგისტუ ჰაილე მარიამს მიულოცა ეთიოპიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევა.

საბჭოთა დელეგაციამ ეროვნულ კრებას გადასცა სამახსოვრო საჩუქარი: მხატვრული ლარნაკი, რომელზეც გამოსახულია ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის წმიდათაწმიდა ადგილი — წითელი მოედანი.

ᲝᲚᲡᲢᲔᲠᲘ: ᲠᲔᲠᲔᲠᲔᲡᲘᲘᲗᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ 29 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲔᲚᲤᲐᲡᲢᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ ᲛᲘᲙᲚᲡ. ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲓᲐᲡᲯᲕᲜᲐ, ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲪᲐᲕᲓᲐ...

**ᲔᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲛᲘᲕᲘᲓᲔᲗ ᲝᲚᲡᲢᲔᲠᲘᲓᲐᲜ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲜᲘ ᲰᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘ ᲐᲠᲘᲡᲐᲚᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲚᲔ

ქალა დიდი ხელოვნებისა

საქართველოს კვლავ ეწვია ელენე ობრაზცოვა, ჩვენი დროის უდიდესი მომღერალთაგანი, რომლის ხელოვნების მრავალფეროვანი საოცარი დინამიკითა და სისწრაფით მისწვდა მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს საოპერო სცენებს. და, თქმა არ უნდა, რომ მისი უშუალო ხილვა და მოსმენა სცენაზე იღებდაან შემთხვევას მიეკუთვნება. ე. ობრაზცოვას ბობოქარი შემოქმედებითი ენერგია, მსმენელმაყურებელზე ზემოქმედების მომნუსხველი ძალა, რეპერტუარის სიუხვე და მისი გამდიდრების შეუნელებელი დინამიკა კარგად არის ცნობილი. ე. ობრაზცოვა უმდიდრესი ვოკალურ-სცენური მონაცემებით არის მომადლებული და მათი სინქრონულობა უმაღლეს ხარისხშია გამოხატული. მაგრამ მისი, როგორც საოპერო და საკონცერტო მომღერლის, უმთავრესი ნიშნთვისება ემოციურ-ფსიქოლოგიური გარდასახვების განსაცვიფრებელი სიუხვე და სიმძაფრეა. ფსიქოლოგიურ სიღრმეებში წვდომისას მომღერალი ფლობს ბგერათგამოსახვების, თვით ტემბრთაცვლის, ინტონირების ფერთა სიკაშკაშის ჭეშმარიტად მაგიურ, ვიტყოდი, შალიაპინისებურ პალიტრას, იდუმალი, იდილიური ტონებიდან ვიდრე ბობოქარი ვნებათღელვის გამოხატულებამდე.

ტელევიზიის მეოხებით, სადაც ე. ობრაზცოვა ხშირად გამოდის, საოპერო ხელოვნების მოყვარეულთა საშუალება ეძლევათ თვალყური ადევნონ მისი ოსტატობის მასშტაბებს დასავლეთ-ევროპულ, უწინარესად იტალიურსა თუ ფრანგულ ოპერებში, რომელთა მთავარი პარტიების განსახიერებით სხვადასხვა დროის დიდ მომღერლებს საოპერო საშემსრულებლო ხელოვნების უამრავი შედევრი შეუქმნია. ე. ობრაზცოვას ამ სახეების შექმნით თავისი გამორჩეული ადგილი აქვს მოპოვებული და არც ერთი პარტია არ განუსახიერებია საკუთარი ელვარე ინდივიდუალური თვისებების გარეშე! საქართველოშიც, თბილისსა და ქუთაისში (იგი ხომ საოპერო ხელოვნების ოსტატთა ქუთაისის ფესტივალის აქტიური მონაწილე და მისი ტრადიციად დამკვიდრების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო!) მსმენელები შეუძრავს ე. ობრაზცოვას ხელოვნების შთამაგონებელ სიღრმეებსა თუ ფოიერვერკების ფრქვევას.

მაგრამ მომღერლის ხელოვნების თავისებურებათა ამოსავალი მაინც რუსული მუსიკის სიღრმეებშია, აქედან მომდინარეობს მისი ფსიქოლოგიური ინტონირებისა თუ კონტრასტების ის უხვი პალიტრა, რის გამოც ზემოთ შალიაპინის ხელოვნებასთან გავავლეთ პარალელი. ახლანდელი მისი ჩამოსვლა ორი საკონცერტო პროგრამით, 1 და 4 სექტემბერს რომ გიმღერთა კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სწორედ რუსულ, XIX საუკუნის კლასიკურ და დღევანდელ (უკვე კლასიკურად ქცეულ) სარომანსო მუსიკას მიეძღვნა. ეს საღამოები მკაცრი თემატური გამიზნულობით, მე ვიტყოდი, ღრმა ერთიანობით გამოირჩეოდა.

პირველი კონცერტი მიეძღვნა XIX საუკუნის კლასიკოსის, „მძლავრი ჯგუფის“ იდეურ-ესთეტიკური წინამორბედის ალექსანდრე დარგომიჟსკის რომანსებს, რომლებიც გამოჩენილმა მომღერალმა უხვად გააცნო ფართო მსმენელს. მისი შესრულება გამოირჩეოდა უაღრესად სადა და მართალი ინტონირებით, ამასთან სდევდა მკაცრი აკადემიური, ცხოვრებისეული სიმართლე.

მეორე კონცერტი დაეთმო XIX საუკუნის რუსეთის უდიდესი კომპოზიტორის მოდესტ მუსორგსკისა და გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის გიორგი სვირიდოვის კამერულ შემოქმედებას. შემთხვევითი როდი იყო საკონცერტო პროგრამების აგება. პრინციპი. მუსორგსკის თავის მასწავლებლად დარგომიჟსკი მიაჩნდა და საკუთარი შემოქმედების ულრმესი რეალიზმის, მშობლიურ სიტყვასთან, ხალხის მეტყველებასთან, სალაპარაკო ინტონაციებთან მუსიკის უახლოესი კავშირის თვალსაზრისით ამოსავალს ყველაზე მეტად დარგომიჟსკის მუსიკაში ხედავდა. ისიც ცნობილია, რომ მუსორგსკის გენიამ საგრძნობლად გადააჭარბა თავის მასწავლებელს. გენიალური საბალხო მუსიკალური დრამების „ბორის გოდუნოვისა“ და „ხოვანშჩინის“ ავტორმა ჩვეული სიმძაფრით განმსჭვალა თავისი კამერულ-ვოკალური შემოქმედება. მომღერლის საკონცერტო პროგრამაში წარმოდგენილი იყო კომპოზიტორის უმნიშვნელოვანესი ქმნილებები, მათ შორის შმაგი „გოპაკი“ და ტრაგიკული ციკლი „სიკვდილის სიმღერები და ცეკვები“. ე. ობრაზცოვამ ისინი ჩვეული ოსტატობით შეასრულა, თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობსო, და ამ ნაწარმოებთა იმოქმედნელი შესრულება არცთუ ისე გამოირჩეოდა ობრაზცოვასათვის დამახასიათებელი ჩვეული მომნუსხველობით. რაც შეეხება კონცერტის მეორე განყოფილებას, იგი ჭეშმარიტად ამ ორი კონცერტის გვირგვინი იყო. თბილისში პირველად შესრულდა გიორგი სვირიდოვის ვოკალური პოემა „დაიძრა რუსეთი“ სერგეი ესენინის ლექსების მიხედვით. ცნობილია, ამ გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის ხანგრძლივი, პრინციპული ძიებანი მშობლიური პოეზიის წიაღში (და არა მარტო რუსულში), მათ შორის განსაკუთრებული ინტერესი ს. ესენინის პოეზიის მიმართ, რაც არაერთი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა შექმნით გამოიხატა, დიდად პრინციპული კვალი რომ დაეჩნიეს რუსული საბჭოური მუსიკის განვითარებას. ე. ობრაზცოვას განსაკუთრებული მიდრეკილება აქვს გ. სვირიდოვის მუსიკისადმი და თბილისშიც მრავალჯერ შეუსრულებია მისი ქმნილებანი. ამ კომპოზიტორმა თავისი ურყევი გზა აირჩია და იგი დღეს ყველაზე ახლოა რუსულ ეროვნულ ფესვებთან, რუსულ კლასიკურ მუსიკასთან. იმ საღამოს აყოერებულ პოემაში „დაიძრა რუსეთი“ მონუმენტური სისადავითა და ტრაგიკული სიღრმით, ამასთან, კოლორატურული მჩქეფარებით იყო წარმოჩენილი მისი ეროვნული ძირები და ძალა, ლირიკული სევდა და პერსპექტივები. ნათელი და მძაფრად მეტყველი, მსხვილი პლანისაა მისი მელოდიური სფერო. ელენე ობრაზცოვა თავის სრულ სტიქიაში იყო, ჭეშმარიტად ჰეროიკული შემართებით, ამასთან, გულსავსე ლირიკული ზიგზაგებით იყო გამსჭვალული ამ ციკლის ამღერება. ნიშანდობლივია, სახიერებითა და ემოციურად იმდენად მთლიანი და შთამაგონებელი იყო ეს შესრულება, რომ სულგანაბული მსმენელები ვერც „ბედავდნენ“ ამ პოემა-ციკლის ცალკეულ ნომრებზე ტაშით რეაგირებას და აუდიტორიაში შექმნილ დაძაბულობაში ბზარის შეტანას.

პროგრამის დასასრულს „ბისზე“ მომღერალმა ისევ სვირიდოვის ორი სიმღერა შეასრულა. ბოლო იყო „რუსული სიმღერა“ ხალხურ სიტყვებზე, რომელიც თბილისში წინათაც უმღერია ობრაზცოვას. მან იგი ლაღი გულითადობით, დიდი გზნებით, მსუბუქი იუმორით შეასრულა. საოცარი სისხარტითა და მრავალმნიშვნელოვნად ამთავრებს იგი ამ სიმღერას. ბოლო ბგერა უჩუმრად მოწყდება, დასრულდება და თითქოს უსასრულობაში გადაეშვება.

კამერული საღამოების კონცერტმაისტერი კვლავაც ვაჟა ჩაჩავა იყო, ობრაზცოვას მუდმივი პარტნიორი უკვე მრავალი წლის მანძილზე, მაღალინჭიერი, უტყუარი გემოვნების დიდოსტატი მუსიკოსი. შემთხვევითი როდია, რომ ამ დიდმა მომღერალმა ქალმა კონცერტმაისტერად სწორედ ვაჟა ჩაჩავა აირჩია და კვლავაც განაგრძობს მასთან საკონცერტო მოღვაწეობას. იმ მასშტაბურობასა და უკიმპრომისო მთლიანობაში, რითაც შთამბეჭდავია ელენე ობრაზცოვას კონცერტები, დიდმნიშვნელოვანია ვაჟა ჩაჩავას როლი.

ანტონ ფულუკიძე.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

დღეს ქალაქ ზესტაფონში საზეიმოდ იხსნება ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო თეატრების პირველი ფესტივალი. იგი ეწყობა მოყვარულთა თეატრების საერთაშორისო გაერთიანების საბჭოთა კომიტეტის ეგიდით. ზეიმის სახელწოდებაა

„მეგობრობის ჩირაღდანი“

ფესტივალზე მოწვეული არიან ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოყვარულთა დრამატული, თოჯინების, მარიონეტების თეატრები, აგრეთვე უცხოელი სტუმრები — ჩეხოსლოვაკიისა და ვენეციის მოყვარულთა თეატრები.

საქართველოს სახალხო თეატრებს წარმოადგენენ სიღნაღისა და ზესტაფონის თეატრალური კოლექტივები.

ფესტივალის მიზანია ეროვნული კულტურების ურთიერთგამდიდრება, ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოყვარულთა თეატრების სასცენო ხელოვნების დემონსტრირება, მათი შემოქმედებითი კონტაქტების ზრდა.

დაწესებულია პრიზები და ჯილდოები.

▲▲

ასევე შინაარსიანი, მრავალფეროვანი ზეიმი იქნება ხვალინდელი

„თრიალეთობა“

ეს ტრადიციული ინტერნაციონალური მეგობრობის დღესასწაული გამორჩეულია იმითაც, რომ მას წინ უძღვის ძველბერძნული ფილოსოფიის პრობლემებზე საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის დღის წესრიგით გათვალისწინებული პლენარული სხდომა, რომლის მონაწილენიც დღეს ღრმად, საქმიანად განიხილავენ რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანებს.

„თრიალეთობა“ ხვალ, 11 საათზე იწყება.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისა და საქინფორმის მასალები ამ ნუბრიკისათვის მოამზადა თ. მეტრეველმა.

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

ორშაბათი, 14 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. დილის საინფორმაციო-მუსიკალური გადაცემა. 9.35 — მოამბე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სოფლის სკოლის ტრადიციები“. 16.55 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 17.25 — მოსწავლეთათვის. „გზა მშვენიერებისაკენ“. 18.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „ცეკვავს ანსამბლი „ფერხული“. 18.35 — თეატრალური აფიშა. 19.15 — საერთაშორისო დღიური. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „ლენინური გვარდიის ჯარისკაცები“ — ლევან ღოღობერიძე. 20.55 — „გარდაქმნის წახნაგები“. ჯანმრთელობის დაცვის სამსახური განახლებების გზაზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — „უჩვენებს სატელევიზიო თეატრი“. თ. ჭილაძე — „სურათები საოჯახო ალბომიდან (საქართველოს ტელევიზიის დადგმა).

მეორე პროგრამა. 15.55 — მხატვრული ფილმი „თერთმეტი იმედი“ (ქართულ ენაზე). 17.30 — დოკუმენტური ფილმი „დრო და ადამიანები“. 18.20 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.50 — განცხადებები. 18.55 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმების პროგრამა: „ვერა და თეოდორე“, „გედის სიმღერა“. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „გაკვეთილები ხვალისთვის“.

სამშაბათი, 15 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. დილის საინფორმაციო-მუსიკალური გადაცემა. 9.35 — მოამბე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — საესტრადო პანორამა. 17.10 — განცხადებები. 17.15 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კაუნასი — მუდამ კაუნასია“. 17.45 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 18.10 — რეკლამა. 18.20 — ქართული დოკუმენტური ფილმი „პიდროელექტროსადგურის მშენებლობა“. 18.40 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „შეხვედრება თეთრი ღამეების ქვეყანაში“. 19.25 — მოამბე. 20.00 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „საბჭოთა მოლდავეთი“ (მოლდავეთის ტელევიზიის გადაცემა (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.55 — სატელევიზიო ფესტივალი „სიცილი ეკრანზე“. ქართული მხატვრული ფილმი „მხიარული რომანი“.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მაიორი ვიხრი“. 17.45 — დოკუმენტური ფილმი „ილაპარაკე, გისმენ!“. 18.35 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ახალგაზრდობა მწყობრში“. 18.55 — ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბორანი“. 19.25 — მოამბე. 20.00 — „მუსიკის სამყაროში“. 21.10 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უტეხი სახალხო კომისარი“.

ოთხშაბათი, 16 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. დილის საინფორმაციო-მუსიკალური გადაცემა. 9.35 — მოამბე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — საესტრადო პანორამა. 16.55 — განცხადებები. 17.15 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჟანანინა“. 17.45 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 18.10 — ბელორუსული ფილმი „პოემა ფრთებზე“. I და II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — შორეული წლების მელოდიები. კინოკონცერტი. 23.40 — ახალი ამბები. 23.45 — შეხვედრა ბიკვარტეტ „სეკრეტთან“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — ფოლკლორული ანსამბლის „ლეიბარდიის“ კონცერტი. 9.45 — რიტმული ტანვარჯიში. 10.15 — ჩვენი ბაღი. 10.45 — პროსპერ მერიმე. ცხოვრება და შემოქმედება. 11.30 — დილის ფოსტა. 12.00 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „პირადი ცხოვრება“. 13.40 — ძალისხმობა. 14.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 14.25 — ჯანმრთელობა. 15.10 — „ძიას სიზმარი“. თ. დოსტოევსკის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. I და II ნაწილი. 16.55 — რუსეთის მუსიკალური ოჯახები. „სერგი რახმანინოვთან ივანოვკაში“. 20.00 — ფეხბურთი. კიევის „დინამო“ — „ტორპედო“. შესვენებისას — 20.45 — „ძიალი ნებისა პატარებო!“. 21.45 — დოკუმენტური ფილმი „არქტიკა სამუდამოდ“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — მხატვრული ტელევიზიმლი „ბატალიონების მეთაურები“. I და II სერია. 1.00 — ახალი ამბები. 1.05 — ძალისნობა.

თბილისი

12 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — მულტფილმები. 11.00 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მომძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება (სომხეთის ტელევიზიის პროგრამა). 11.30 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „შემოდგომის გზა“. 12.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.15 — სცენის ოსტატები. თენგიზ ზაალიშვილი. 13.10 — ხალხური შემოქმედება. ბოლნისის სახალხო თეატრში. 13.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.50 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა“. მხატვრული ფილმი „ალანგატის ალლუმი“. 15.30 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.35 — „მოდა გვთავაზობს“. 16.15 — საინფორმაციო გამოშვება. 16.25 — „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ერთნაწილი საბჭოთა ადამიანის მეომრებისათვის. 17.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.20 — პანს ქრისტიან ანდერსენი — „მწყემსი გოოონა და მებუხრე“. 17.50 — შემეცნებით-გასართობი პროგრამა ახალგაზრდობისათვის. 18.30 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. საბავშვო პროგრამების საკავშირო სატელევიზიო ფესტივალი „მეგობრობა გზად და ხიდად“ (ყაზახეთის ტელევიზიის პროგრამა). 19.00 — „გარდაქმნის წახნაგები“. 19.30 — ფეხბურთი. ერევნის „არარატი“ — თბილისის „დინამო“. 21.15 — მოამბე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — ფეხბურთი. ბაქოს „ნეფთჩი“ — ლენინაკანის „გურკა“. II ტაიმის ვიდეოჩანაწერი. 23.40 — მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. „ბილი ფლეკი“. ტელემონტაჟი „ლოს-ანჯელესი — თბილისი“.

მეორე პროგრამა. 16.15 — მხატვრული ფილმი „ჩემი უფროსარი ივანე დაპუელი“. 17.45 — მულტიპლიკაციური [illegible] პროგრამა. 18.20 — [illegible] ად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი ტოლიატი“. 18.55 — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჯარისკაცის შვილი“. 19.30 — მოამბე. 20.00 — საესტრადო კონცერტი. 20.40 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „დარჩენილი სიცოცხლისათვის“. II სერია.

შაბათი, 19 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. დილის საინფორმაციო-მუსიკალური გადაცემა. 9.35 — მოამბე. 10.05 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.15 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ტალანტების პოვნის ნიჭი“. 10.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შეხვედრა ოსტატებთან“. 10.35 — ხალხური შემოქმედება. „სარეფაქციო ფონდიდან“. 11.20 — ამბავი ნამდვილი ადამიანებისა. მხატვრული ფილმი „შფოთიანი ოვე“. 12.50 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.00 — დღეს მოსკოვის დღეა (მ.). 13.30 — „ჩვენი სოფელი“. მეკამეჩეობის პერსპექტივები ჩვენს რესპუბლიკაში. 14.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.05 — „რეზონანსი“ (მ.). 15.20 — საინფორმაციო გამოშვება. 15.30 — დღეს მოსკოვის დღეა (მ.). 16.00 — „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.50 — „გლობუსი“. 17.55 — სპორტული პროგრამა „45 წუთი“. 18.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 18.45 — დღეს მოსკოვის დღეა (მ.). 19.15 — ლიტერატურული გადაცემა „ბალაკტიონის გვერდით“. 19.35 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. საბავშვო პროგრამების საკავშირო სატელევიზიო ფესტივალი „მეგობრობა გზად და ხიდად“ (თურქმენეთის ტელევიზიის პროგრამა). 20.00 — მოამბე. 20.35 — „გარდაქმნის წახნაგები“. „ვის მივანდოთ პიპოკრატეს ჩირაღდანი“. (გადაცემაში მონაწილეობენ პროფესორი ი. ჭუბუბორიძე და ახალგაზრდა მედიკოსები). 21.30 — კამერული მუსიკის კონცერტი (პროგრამაშია ო. თაქთაქიშვილის ნაწარმოებები). 22.00 „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — მხატვრული პროგრამა.

მეორე პროგრამა. 19.05 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმები „მეზავრი“ და „ნელმავალი“. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „დარჩენილი სიცოცხლისათვის“. III სერია.

კვირა, 20 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. დილის საინფორმაციო-მუსიკალური გადაცემა. 9.35 — მოამბე. 10.10 — „ფილა მშვიდობისა!“ საკავირაო მუსიკალური გასართობი პროგრამა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.30 — კინოფიშა. 12.00 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 12.45 — საკვირაო გამოფენა. ნ. ფალავანდიშვილი. 14.00 — „ბოლერო“. 15.05 — ვესტნიკი. 15.35 — საკვირაო გამოფენა. ნ. ფალავანდიშვილი. 15.45 — „ქედელი მეტყველები“ (ეძღვნება ტყის მუშაკის დღეს). 16.00 — კონცერტი „თქვენი თხოვნით“. 17.00 — „ყვარლიდან მთაწმინდამდე“ (ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის გამო). 17.45 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. საბავშვო პროგრამების საკავშირო სატელევიზიო ფესტივალი „მეგობრობა გზად და ხიდად“ (ბელორუსის ტელევიზიის პროგრამა). 18.20 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისთვის. „ლაპარაკობს ისტორია“. 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ლენინგრუთის „გურია“ — ერევნის „არარატი“. რეპორტაჟი ლენინგრუთიდან. შესვენებისას (19.45) — „ზღაპრის გუდა“. 20.45 — მოამბე. 21.20 — „გარდაქმნის წახნაგები“. „ფთა, სოფელი, პრობლემები“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ). 22.50 — კონცერტი. 23.15 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.).

მეორე პროგრამა. 19.10 — სატელევიზიო მრავალსერიანი ანი მხატვრული ფილმი „დარჩენილი სიცოცხლისათვის“. IV სერია. 20.15 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.45 — მოამბე.

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲔᲡ ᲒᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐᲗ

საგანგებო სიტუაცია

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ 11 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲠᲔᲪᲝᲠᲢᲐᲟᲘ „ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲝᲑᲠᲐᲖᲪᲝᲕᲐᲡ.

„ᲙᲐᲢᲠᲔᲪᲘᲡᲘᲡ“ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲛᲐᲕᲚᲘ ᲠᲔᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ:

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲗᲝ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲨᲘ ᲓᲐᲡᲛᲣᲚᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲐᲗᲐᲡᲑᲘᲗᲘ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡ, ᲙᲕᲔᲑᲘᲡ, ᲒᲐᲛᲬᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲑᲔᲠᲘ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲛᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲐᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲑᲔᲠᲘ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲗ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲘᲗ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲗ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲑᲝᲠᲝᲢᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ.

1986 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲓᲝᲠᲘᲥᲢᲘᲕᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲣᲚ ᲡᲐᲡᲣᲚᲔᲑᲝᲗ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ, ᲓᲐ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲑᲔᲠᲘ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲛᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲐᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲑᲔᲠᲘ Მ